დაცვასთან მჭიდრო კავშირში

11 აგვისტოს ლ. პ. ბერიას სახელობის თბილისის “დინამოს” სტადიონზე ერთმანეთს შეხვდნენ თბილისისა და მინსკის “დინამოს” ფეხბურთელთა გუნდები. თამაში თბილისელებმა დაიწყეს. მათ პირველი წუთიდანვე შეუტიეს მოწინააღმდეგის კარს. მინსკის “დინამო” იძულებული გახდა დაცვა გაეძლიერებინა. 25-ე წუთზე ღოღობერიძე სტუმრების კარისაკენ გაიჭრა და ძლიერი დარტყმით პირველი ბურთი გაიტანა. მოწინააღმდეგის საპასუხო შეტევის შედეგად ანგარიში გათანაბრდა. 37-ე წუთზე მინსკის კართან არევ-დარევით ისარგებლა თბილისელმა თოდრიამ და ბურთი გაიტანა. შემდეგ ზაზროშვილის მიერ მოწოდებული ბურთი მახარაძემ კარგად გამოიყენა და კუთხური დარტყმით ანგარიში სამამდე გაზარდა.

მეორე ტაიმი უფრო საინტერესო გამოდგა. მარჯვენა ფრთაზე ჯოჯუა გრამატიკოპულომ შესცვალა. ორივე გუნდის თავდასხმა აქტიურ ბრძოლაში ჩაება. სტუმრები ხშირად გადიოდნენ თბილისელთა საჯარიმო მოედანზე, მაგრამ კარში არაზუსტი დარტყმების შედეგად ანგარიში ვერ გაზარდეს. შემდეგ თბილისელებმა კიდევ სამი ბურთი გაიტანეს. მატჩი დამთავრდა თბილისის “დინამოს” გამარჯვებით, ანგარიშით 6:1.

ეს მატჩი თბილისის “დინამომ” შედარებით კარგად ჩაატარა. თავდასხმას მჭიდრო კავშირი ჰქონდა დაცვასთან.

ზ. ჯაფარიძე.
“ახალგაზრდა კომუნისტი”, 13 აგვისტო, 1949 წ.